კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3

მემორანდუმის გაფორმება

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის

24 თებერვალს, 14:30 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმდება მემორანდუმი.

მემორანდუმის გაფორმების მიზანია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უნიკალური და მრავალფეროვანი კოლექციები გახდეს ეფექტური სასწავლო რესურსი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში თავმოყრილია ქართული კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი საგანძური: მდიდრულად ილუსტრირებული უნიკალური ქართული და უცხოენოვანი ხელნაწერები, ძველნაბეჭდი და იშვიათი გამოცემები, მემორიალური ნივთები. ცენტრის კოლექციები მრავალ დარგსა და სფეროს მოიცავს - ისტორია, სამართალი, გეოგრაფია, მოგზაურობა, ფილოსოფია, ასტროლოგია, მათემატიკა, სამხედრო საქმე და ა.შ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ზემოთჩამოთვლილი რესურსის სწორად გამოყენებისა და გაცნობისათვის მომზადდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მასწავლებელის სახლთან, რომელიც ხელს უწყობს მასწავლებლის საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლებას და მასწავლებლის, მოსწავლეებისა და საზოგადოების სასარგებლოდ სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებას.

ცერემონიის ფარგლებში სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ დაათვალიერონ მუდმივმოქმედი გამოფენა „ქართული ხელნაწერი“, ასევე საგანგებო გამოფენა „სიმართლე თებერვალზე“, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ემიგრანტების პირად არქივებში დაცული მასალა 1921 წლის 25 თებერვლის შესახებ.

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge
599 899 628